FRONTEX

GEORGIAN

Frontex-ში საჩივრის წარდგენის უფლება

ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები

თქვენ გაქვთ უფლება მოგეპყრონ ღირსეულად, დაიცვან თქვენი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა, მიიღოთ თავშესაფარი და თქვენს წინააღმდეგ არ იქნას გამოყენებული დისკრიმინაცია. აღნიშნული, სხვებთან ერთად, წარმოადგენს ევროპული კანონმდებლობით აღიარებულ ძირითად უფლებებს.

თქვენ გაქვთ საჩივრის წარდგენის უფლება, თუ ფიქრობთ, რომ თქვენი ძირითადი უფლებები შეიღახა Frontex – ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს საქმიანობის ფარგლებში.

სააგენტო ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ეხმარება ევროკავშირის გარე საზღვრების კონტროლში. აღნიშნულ საქმიანობაში უამრავი ადამიანია ჩართული, ესენი არიან ოფიცრები, რომლებიც ევროკავშირში შემოსვლის დროს თქვენს მონაცემებს არეგისტრირებენ, პერსონალი, რომელიც იღებს თითის ანაბეჭდებს, კინოლოგები, თავიანთ ქვეყნებში დაბრუნებულ პირთა თანხმლები ესკორტები, ექიმები, კულტურული მედიატორები. ყველა მათგანი ვალდებულია პატივი სცეს თქვენს ძირითად უფლებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ წარადგინოთ საჩივარი სააგენტოში.

ვის შეუძლია საჩივრის წარდგენა?

სააგენტოში საჩივრის შეტანა შეგიძლიათ, მიუხედავად თქვენი ასაკისა, თუ ფიქრობთ, რომ თქვენი ძირითადი

უფლებები დაირღვა სააგენტოს საქმიანობაში ჩართული რომელიმე პირის მიერ.

წარმომადგენლობა შესაძლებელია გაგიწიოთ ნებისმიერმა სხვა პირმა, ადვოკატმა ან ორგანიზაციამ, რომელთაც შეუძლიათ საჩივრის თქვენი სახელით შეტანა.

საჩივრის შეტანა შეგიძლიათ ევროპაში თქვენი ადმინისტრაციული სტატუსის მიუხედავად (მაგალითად, გაქვთ დარჩენის კანონიერი ნებართვა თუ ითხოვთ თავშესაფარს). თქვენი პერსონალური მონაცემების წარდგენა სახელმწიფო ორგანოებში შესაძლებელია მხოლოდ თქვენი თანხმობით და დაუშვებელია მათი დამუშავება ნებისმიერი სხვა მიზნით, გარდა თქვენი საჩივრის გამოძიებისა.

თუ ერთი და იმავე ქმედებით დაზარალდა რამდენიმე ადამიანი, შეგიძლიათ ერთობლივი საჩივრის შეტანა.

როგორ წარვადგინოთ საჩივარი?

საჩივარი უნდა წარადგინოთ წერილობითი ფორმით და უზრუნველყოთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია. თუ თქვენ გსურთ საჩივრის ფორმის გამოყენება, შეგიძლიათ მოიძიოთ სააგენტოს ვებ-გვერდზე რამდენიმე ენაზე. ასევე, საჩივრის წარდგენა შეგიძლიათ წერილის სახით ან ელ. ფოსტის მეშვეობით.

გთხოვთ, აღწერეთ როგორ დაირღვა თქვენი უფლებები, რომელი უფლებები და სად ჰქონდა დარღვევას ადგილი. ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გაგზავნოთ დამატებითი მასალა თქვენი საჩივრის შესახებ, ხოლო სააგენტოს შეუძლია დაგიკავშირდეთ დამატებითი ინფორმაციისთვის.

გაგზავნეთ თქვენი საჩივარი ონლაინ, ელ. ფოსტის ან წერილის სახით:

ვებ-გვერდი:
https://frontex.europa.eu/fundamental-rights/complaints-mechanism/

ელ. ფოსტა:
complaints@frontex.europa.eu

საფოსტო მისამართი:
Frontex - European Border and Coast Guard Agency
Fundamental Rights Officer
Plac Europejski 6
00-844 Warsaw
Poland

როგორია საჩივრის წარდგენის პროცედურა?

Frontex-ის ძირითადი უფლებების ოფიცერი შეისწავლის თქვენს საჩივარს და გადაწყვეტს შესაძლებელია თუ არა მისი განხილვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ გაცნობებენ, შესაძლებლობისამებრ, თქვენი საჩივრის სხვა ალტერნატივების შესახებ.

არსებობს საჩივრების მიღების კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთაც შეგიძლიათ გაეცნოთ სააგენტოს ვებ-გვერდზე, საჩივრის მექანიზმების შესახებ წესებში.

თუ თქვენი საჩივრის განხიდვა მოხდება, ის გაიგზავნება სააგენტოს აღმასრულებელ დირექტორთან. თუ თქვენ საქმეში ჩართულია პერსონაული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოდან, საჩივარი, ასევე, გაეგზავნება წევრი სახელმწიფოს ორგანოებს. ორივე შემთხვევაში, ისინი პასუხისმგებელი იქნებიან კვლევის შედეგებზე და ანგარიშის უკან გაგზავნაზე ძირითადი უფლებების ოფიცრისთვის, რომელიც შეგატყობინებთ თქვენი საქმის შედეგებზე.

საჩივრის დამუშავების დრო შესაძლებელია განსხვავდებოდეს საქმეების მიხედვით. თუმცა, სააგენტო ვალდებულია თქვენი საჩივარი განიხილოს და ბოლომდე მიიყვანოს ეფექტური გზით.

თქვენი პირადი ინფორმაცია (სახელი, საკონტაქტო დეტალები....) დაცულია და ჩვენ გვჭირდება მკაფიოდ გამოხატული ნებართვა კომპეტენტურ ორგანოებთან მათ გასაზიარებლად.

ასევე, შეგიძლიათ, სურვილის შემთხვევაში, თქვენი საქმით იმავდროულად სხვა დაწესებულებებსაც მიმართთ. სახელმწიფო სასამართლოებს და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს, ასევე, შეუძლიათ დაგეხმარონ თქვენი უფლებების დაცვაში.

Plac Europejski 6
00-844 Warsaw, Poland
T +48 22 205 95 00
F +48 22 205 95 01

frontex@frontex.europa.eu
www.frontex.europa.eu

© European Border and Coast Guard Agency (Frontex), 2023

Publications Office
of the European Union

FPI 23.0269

PDF:
TT-08-23-011-KA-N
ISBN 978-92-9467-866-9
doi:10.2819/794126